თბილისის ”დინამოს” პირველი დამარცხება

გუშინ მოსკოვში გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე “ა” კლასის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერი “დინამო” (თბილისი) და მოსკოვის “ლოკომოტივი”.

თამაში თბილისელებმა შეტევით დაიწყეს. პირველი 15 წუთის განმავლობაში ინიციატივა მათ მხარეს იყო, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. “ლოკომოტივმა” თამაში თანდათან გაათანაბრა და მალე ბურთმა დინამოელთა მხარეს გადაინაცვლა. რკინიგზელთა იერიშები უფრო ეფექტური გამოდგა. 22–ე წუთზე თბილისის “დინამოს” კარში გატანილ იქნა პირველი ბურთი. რამდენიმე ხნის შემდეგ მოსკოველმა პეტროვმა ანგარიში ორამდე გაზარდა, ხოლო 45–ე წუთზე მარღანიამ უკვე მესამე ბურთი გამოიტანა ბადიდან (იგი კოროტკოვმა გაიტანა).

მეორე ტაიმი კვლავ თბილისელთა შეტევით დაიწყო, მაგრამ ისევ უსარგებლოდ. 26–ე წუთზე პეტროვის დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 4:0.

ამის შემდეგ დინამოელებმა შეძლეს 2 ბურთის გაქვითვა და შეხვედრა დამთავრდა მოსკოვის “ლოკომოტივის” გამარჯვებით, ანგარიშით 4:2.

“ლელო”, 13 მაისი, 1953 წ.